KA030107091665619

№ 01-8610 **21 / აგვისტო / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2019 წლის 16 აგვისტოს დავალების შესაბამისად წარმოგიდგენთ განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს მიმდინარე წლის 24 ივლისის # 01-237/ო ბრძანების თანახმად დაწყებული რეორგანიზაციის შედეგად სამინისტროს დებულებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით. ეს შეეხება, ჯანდაცვის დეპარტამენტისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის (საკურაციო სფერო: ელექტრონული ჯანდაცვა) და წამლის სააგენტოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ ცვლილელებს.

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი, მისი ამჟამინდელი ფორმით, ან როგორც ერთიანი პოლიტიკის დეპარტამენტის ნაწილი, შეინარჩუნებს დებულებით განსაზღვრულ ყველა ფუნქციას. დამატებითი ფუნქციების გაჩენა ამ ეტაპზე არ განიხილება. რაც შეეხება ქვედანაყოფის შიდა სტრუქტურას მიზანშეწონილია დამოუკიდებელი სამმართველოების სახით შენარჩუნდეს ჯანდაცვის პოლიტიკის, რეგულირებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების და საორგანიზაციო სამმართველოები (სულ 4 სამმართველო).

საქართველოს მთავრობის № 473 დადგენილებით დამტკიცებული სამინისტროს დებულების 11 მუხლი - ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ძირეული ფუნქციების გადახედვის თვალსაზრისით ცვლილებებს არ საჭიროებს (შესაძლებლია მცირედი კორექტირება ფორმულირებების დონეზე).

სტრუქტურული ცვლილებების ასახვა მოხდეს სამინისტროს საბოლოო სტრუქტურის შესაბამისად.

ჯანმრთელობის დაცვის ქვედანაყოფისთვის (დეპარტამენტი ან სამმართველოები ერთიანი პოლიტიკის დეპარტამენტის ფარგლებში) რეკომენდებული საშტატო განრიგი:

ჯანმრთელობის დაცვის ქვედანაყოფი თანამდებობა	შტატის რაოდენობა		კომენტარი
ქვედანაყოფის ხელმძღვანელი	1		
სამმართველოს უფროსი	4		
სპეციალისტები	მთავარი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტი	
ჯანდაცვის მიმართულება			
რეგულირების სამმართველო	4 (მ.შ. 1 ვაკანტური)	2	ამჟამად შტატში გათვალისწინებულია 1 უფროსი სპეციალისტი, 1 სპეციალისტი არის შტატგარეშე- მუშაობს ელექტრონული ჯანდაცვის პოლიტიკის საკითხებზე; მნიშვნელოვანია ამ პოზიციის შენარჩუნება- ამიტომ ცხრილში მითითებულია 2 უფროსი სპეციალისტის პოზიცია.

ჯანმრთელობის დაცვის ქვედანაყოფი თანამდებობა	შტატის რაოდენობა		კომენტარი
პოლიტიკის სამმართველო	3 (მ.შ. ერთი ვაკანტური. მიზანშეწონილია დაემატოს ერთი პოზიცია დედათა და ბავშვთა პოლიტიკის საკითხებზე- იხილეთ კომენტარი)	1უფროსი სპეციალისტი და 1 სპეციალიტი	საორგანიზაციო სამმართველოში შტატგარეშე თანამშრომლის პოზიცია, რომელიც განკუთვნილია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პოლიტიკაზე მიზანშეწონილია ინტეგრირდეს პოლიტიკის დეპარტამენტში, მთავარი სპეციალისტის პოზიციით. ამით მთავარი სპეციალისტების რეკომენდებული რაოდენობა გაიზრდება 4-მდე. 1 სპეციალისტის პოზიცია ვაკანტურია. რეკომენდებულია დამატებით
საზ. ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველო	4(მ.შ. 1 ვაკანტური)	1 უფროსი სპეციალისტი და 2 სპეციალისტი	
საორგანიზაციო სამმართველო	6	1 უფროსი სპეციალისტი და 2 სპეციალისტი	1 მთავარი სპეციალისტის და 1 უფროსი სპეციალისტის პოზიცია ვაკანტურია- რეკომედებულია ამ პოზიციების დამატება პოლიტიკის სამმართველოში

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია ელექტრონული ჯანდაცვის დანერგვის კოორდინაციასა და ტექნიკურ უზრუნველყოფაზე, არსებული სტატუსით ან ანალიტიკის ფუნქციის განმახორციელებელ ქვედანაყოფებთან ერთიანი დეპარტამენტის ფარგლებში შერწყმის შემთხვევაში შეინარჩუნებს დებულებით განსაზღვრულ ყველა ფუნქციას. ახალი ფუნქციების დამატება არ განიხილება. ქვემოთ წარმოდგენილი ადამიანური რესურსით დეპარტამენტი შეძლებს სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დაგეგმილი ყველა საინფორმაციო ტექნოლოგიური პროექტის კოორდინაციას და უზრუნველყოფს მათ ერთიან ეკოსისტემაში ინტეგრაციას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ქვედანაყოფის (დეპარტამენტი ან სამმართველო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ფარგლებში) რეკომენდებული საშტატო განრიგი:

საინფორმაციო ტექნოლოგიების ქვედანაყოფი: თანამდებობა	შტატის რაოდენობა		კომენტარი
ქვედანაყოფის უფროსი	1		
ქვედანაყოფის უფროსის მოადგილე	1		
სამმართველოს უფროსი	3		
სპეციალისტები	მთავარი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტი და სპეციალისტი	
ინფორმატიკის მიმართულება			

საინფორმაციო ტექნოლოგიების ქვედანაყოფი: თანამდებობა	შტატის რაოდენობა		კომენტარი
ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველო	4	0	დღეს სამმართველოში დასაქმებულია 2 მთავარი სპეციალისტი, სამმართველოს უფროსის გარდა. დამატებით გათვალისწინებულია მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი და კომუნიკაციების მართვის ადმინისტრატორის როლები
ტექნიკური უზრუნველყოფის და ადმინისტრირების სამმართველო	2	1 უფროსი სპეციალისტი და 1 სპეციალისტი	
პროგრამული უზრუნველყოფის სამმართველო	7	1 უფროსი სპეციალისტი	დღეს დაკომპლექტებულია შტატგარეშე თანამშრომლებით. დამატებით გათვალისწინებულია ჯგუფი რომელიც განახორციელებს პროგრამული უზრუნველყოფების პროექტების შემუშვებას და ექსპერტიზას

წამლის სააგენტოს არსებული სახით ფუნქციონირების გაგრძელების, თუ რეგულირების სააგენტოს მმართველობის ფარგლებში ინტეგრირების შემთხვევაში დებულებით განსაზღვრული სააგენტოს ფუნქციების ცვლილება არ განიხილება. წამალთან დაკავშირებული ძირითადი ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად რეკომენდებული საშტატო განრიგი და ფუნქციური ჯგუფები წარმოდგენილია ცხრილში. წამლის სააგენტოს მისი ამჟამინდელი სტატუსით შენარჩუნების შემთხვევაში გასათვალისწინებელი იქნება ფინანსური და იურიდიული სამსახურებისთვის საშტატო ერთეულები.

წამლის ქვედანაყოფში შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა
ხელმძღვანელობა	
უფროსი	1
უფროსის მოადგილე	1
მრჩეველი	1
მრჩეველი	1
ხარისხის მენეჯერი	1
სულ	5
ფარმაცევტული საქმიანობის ზედამხედველობისა და ნებართვების სამმართველო	
სამმართველოს უფროსი	1
ინსპექტირების ჯგუფი	
ჯგუფის ხელმძღვანელი	1
მთავარი სპეციალისტი	5
უფროსი სპეციალისტი	6
GMP-ს ჯგუფი	

სამმართველოს უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	4
ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის ჯგუფი	
სამმართველოს უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	3
უფროსი სპეციალისტი	3
ნებართვების ჯგუფი	
ჯგუფის უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	3
უფროსი სპეციალისტი	3
კლინიკური კვლევის ჯგუფი	
ჯგუფის უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	2
უფროსი სპეციალისტი	1
სულ	36
ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის სამმართველო	
სამმართველოს უფროსი	1
ფარმაკოლოგიური ჯგუფი	
ჯგუფის უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	4
უფროსი სპეციალისტი	5
ფარმაკოპეის ჯგუფი	
ჯგუფის უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	4
უფროსი სპეციალისტი	5
ადმინისტრაციული ჯგუფი	
ჯგუფის უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	5
უფროსი სპეციალისტი	4
უფროსი სპეციალისტი	5
ფარმაკოზედამხედველობის ჯგუფი	
ჯგუფის უფროსი	1
მთავარი სპეციალისტი	1
უფროსი სპეციალისტი	1
სულ	39
სულ ჯამი	**80**

დებულებაში შესატანი დამატებითი ცვლილებები მომზადდება სამინისტროს საბოლოო სტრუქტურის შესაბამისად.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე

თამარ გაბუნია